# საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

# ბრძანება №64/ნ

## 2018 წლის 31 დეკემბერი

## ქ. თბილისი

**საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების გადამზადების ეტაპების დამტკიცების შესახებ**

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (ქუთაისი, 13 ივნისი 2018 წ., №2523-II) მე-3 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს თანდართული „საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების გადამზადების ეტაპები“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი** — **მიხეილ ბატიაშვილი**

## საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების გადამზადების ეტაპები

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

„საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების გადამზადების ეტაპების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება ვრცელდება იმ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებზე, რომელებმაც 2018 წლის 29 ივნისამდე გაიარეს სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის (შემდგომში – მანდატურის სამსახური) მანდატურობის კანდიდატების მოსამზადებელი კურსები და რომელებსაც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სერტიფიკატები გადაეცათ 2018 წლის 29 ივნისამდე.

**მუხლი 2. მანდატურის სამსახურის მოვალეობები საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების გადამზადების უზრუნველსაყოფად**

მანდატურის სამსახურმა უზრუნველყოს:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულების იმ მანდატურების ერთიანი რეესტრის (შემდგომში – რეესტრი) შედგენა, რომლებიც ექვემდებარებიან გადამზადებას;

ბ) რეესტრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის (შემდგომში – სამინისტრო) წარდგენა 2019 წლის 31 იანვრამდე;

გ) რეესტრში შესაბამისი ცვლილებების ასახვა, განახლებული ინფორმაციის სამინისტროსათვის წარდგენა;

დ) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების გადამზადების მიზნით, რეგიონში დასაქმებული საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების, გადამზადების პერიოდში, საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და შესაბამისი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება;

ე) 2019 წლიდან, ყოველი კალენდარული წლის 20 დეკემბრამდე ამ ბრძანებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, სამინისტროსათვის ანგარიშის წარდგენა.

**მუხლი 3. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების გადამზადების ეტაპები**

1. მანდატურის სამსახურმა საგანმანათლებლო დაწესებულების გადამზადებას დაქვემდებარებული მანდატურების გადამზადება დაიწყოს 2019 წლის პირველი თებერვლიდან.
2. მანდატურის სამსახურმა საგანმანათლებლო დაწესებულების გადამზადებას დაქვემდებარებული მანდატურების გადამზადება უზრუნველყოს შემდეგი ეტაპების შესაბამისად:

ა) 2019 კალენდარული წლის განმავლობაში – არანაკლებ 350 (სამას ორმოცდაათი) საგანმანათლებლო

დაწესებულების მანდატური;

ბ) 2020 კალენდარული წლის განმავლობაში – არანაკლებ 350 (სამას ორმოცდაათი) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური;

გ) 2021 კალენდარული წლის განმავლობაში – არანაკლებ 350 (სამას ორმოცდაათი) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური;

დ) 2022 კალენდარული წლის განმავლობაში – არანაკლებ 250 (ორას ორმოცდაათი) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური.